ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №525743

ნომერი: AR1106267

თარიღი : 30.01.2013

გაცემის თარიღი : 31.01.2013

გაცნობის თარიღი : 07.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი ზაბახიძე პ/ნ 60001003658
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 15 ბ. 35

ორგანიზაცია:

- დაბი გრუპ ჯორჯია კოდი: 204537411

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 11 ოქტომბრის #386389 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 იანვარს #არ1106267 განცხადებით მომართა, მოქ. ვალერი ზაბახიძემ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 11 ოქტომბრის #386389 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მე–5; მე–6; მე–7; მე–9 და მე–10 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული ოთხ თვიანი ვადის შვიდ თვემდე გაზრდა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესქსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 11 ოქტომბრის #386389 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), კვალის ქ. #9–11, რუსთაველის გამზირი #29, თაბუკაშვილის ქ. (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. #48, მ. მესხის ქ. #6 და რ. თაბუკაშვილის ქ. #50–52–ში მდებარე შპს „დაბი გრუპ ჯორჯია“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მე–5; მე–6; მე–7; მე–9 და მე–10 პუნქტებით დამკვეთს დაევალა რიგი სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენა ოთხი თვის ვადაში. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირებული პირი – ვალერი ზაბახიძე ითხოვს, სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, პირობის შესასრულებლად მიცემული ვადა გაიზარდოს შვიდ თვემდე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და 11.10.2012წ. #386389 ბრძანების მე–5; მე–6; მე–7; მე–9 და მე–10 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის შესასრულებლად ვადა ოთხი თვის ნაცვლად განისაზღვროს შვიდ თვემდე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და მე–100 მუხლების თანახმად,

ვბრძანებ,

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ვალერი ზაბახიძის 2013 წლის 30 იანვრის AR1106267 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 11 ოქტომბრის #386389 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე–5; მე–6; მე–7; მე–9 და მე–10 პუნქტებით გათვალისიწნებული დოკუემნტაციის წარმოსდაგენად ვადა 4 (ოთხი) თვის ნაცვლად განისაზღვროს 7 (შვიდი) თვემდე;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 11 ოქტომბრის #386389 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge